

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 732

ქ. ბათუმი, 17 აგვისტო 2016 წ

#### ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 218,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონებას განეკუთვნება: მუნიციპალიტეტისთვის კანონით მიკუთვნებული ქონება. 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კანონით მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, გარდა კერძო საკუთრებაში არსებული მიწისა, სახელმწიფო ქონებაზე დამაგრებული და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე დამაგრებული მიწებისა და მიწისა, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფო ქონებაზე და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით შესრულდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დასახლება ანგისაში მდებარე 218,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი სამუშაოები, რომელიც არ იმყოფება (არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში) კერძო საკუთრებაში ან სახელმწიფო საკუთრებაში, ასევე მასზე არ არის განთავსებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული (მათ შორის წილობრივი მონაწილეობით) ობიექტები/ქონება, რის გამოც აღნიშნული მიწის ნაკვეთი დაექვემდებარებოდა სახელმწიფო ქონებაზე დამაგრებას. შესაბამისად, ხსენებული 218,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებას და ექვემდებარება საჯარო რეესტრში მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით რეგისტრაციას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით, დამატებითი ქონების სახით, დარეგისტრირდეს დასახლება ანგისაში მდებარე 218,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

2. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის

მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების მთავარ სპეციალისტს რუსუდან ჟოჟაძეს (პ/№61006029331).

3. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი